ქართულ-ამერიკული
უნივერსიტეტი

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის პოლიტიკა და მისი რეალიზაციის მექანიზმები

სარჩევი

დოკუმენტის შექმნისა და განახლების ისტორია 2

საკონტაქტო ინფორმაცია 3

1. ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკა და მიზნები 4
2. დოკუმენტის სივრცეში მოქმედება 5
3. ბიზნეს პროცესების უწყვეტობის მართვა 5
4. პასუხისმგებლობები 6
5. რისკების შეფასება 9
6. კრიტიკული ბიზნეს პროცესების განსაზღვრა 9
7. საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა 13

დოკუმენტის შექმნისა და განახლების ისტორია

თარიღი	ბრძანების ნომერი
დამტკიცდა - 28.12.2018	01-293
განახლდა - 27.12.2019	01-339
განახლდა - 15.05.2020	01-101
განახლდა - 15.12.2020	01-263
განახლდა - 22.04.2025	01-142

საკონტაქტო ინფორმაცია

ბიზნეს უწყვეტობის მართვის საბჭო (BCMB)		
სახელი	პოზიცია	ტელეფონის ნომერი
ტორონჯაძე ნინო	პირველი ვიცე-პრეზიდენტი	+995 599 540 854
რუხაძე ზაზა	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში	+995 557 113 311
ვანიშვილი შალვა	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი	+995 598 772 998
გელაშვილი გოჩა	შრომის უსაფრთხოების მენეჯერი	+995 599 279 900
ჩქოფოია გია	სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი	+995 574 304 000
თევდორაშვილი სპარტაკი	საფინანსო სამსახურის უფროსი	+995 599 710 070
მურცხვალაძე ნატო	იურიდიული სამსახურის უფროსი	+995 599 971 495
თამასიძე ლევან	სამეურნეო სამსახურის უფროსი	+995 599 515 244
ყუფუნია გიორგი	საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი	+995 558 636 331

კრიზის მენეჯმენტის ჯგუფი (CMT)		
სახელი	პოზიცია	ტელეფონის ნომერი
ვანიშვილი შალვა	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი	+995 598 772 998
ვანიშვილი ვანო	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი/ დაცვის თანამშრომელი	+995 514 012 040
გიგოშვილი დათო	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი/ დაცვის თანამშრომელი	+995 577 311 477
შატაკიშვილი შალვა	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი/ დაცვის თანამშრომელი	+995 571 244 002 +995 595 589 568

ხაბელაშვილი ნუგზარ	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი/ დაცვის თანამშრომელი	+995 571 192 712
მჭედლიშვილი ბექა	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი/ დაცვის თანამშრომელი	+995 598 658 283
ჭოტორლიშვილი დავით	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი/ დაცვის თანამშრომელი	+995 591 921 896
ჟორდანია ზაზა	სამეურნეო სამსახურის სპეციალისტი	+995 593 640 346
ნინუა ბეჟან	სამეურნეო სამსახურის სპეციალისტი	+995 593 600 122
ჩაგანავა რაინდი	საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მენეჯერი	+995 591 040 904
რობაქიძე თამარ	ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი	+995 555 214 566
კურტანიძე ხათუნა	აკ. პროცესის მართვის სამსახურის სტუდ. მენეჯერი (ბიზნესის სკოლა)	+995 551 222 083
ბარათაშვილი სოფიო	აკ. პროცესის მართვის სამსახურის სტუდ. მენეჯერი (ინფ. და ინჟ. და ჰუმანიტ. მეცნიერებათა და ლიბ. განათლების სკოლები)	+995 592 999 102
ქათამაძე ლიზი	კარიერის ცენტრის უფროსი (მარკეტინგისა და კომუნიკაციების სამსახური)	+995 598 232 223

1. ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკა და მიზნები

უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკა გულისხმობს უნივერსიტეტის შესაძლებლობებს განახორციელოს ფუნქციონირება და შესაბამისი სერვისების მიწოდება წინასწარ დაგეგმილ და გათვლილ დონეზე როგორც კრიზისულ, ისე კრიზისული ვითარების შემდეგ.

ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკა უნივერსიტეტის სტრატეგიული მენეჯმენტის არსებითი ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის საზოგადოდ გაცხადებული მისიის, ხედვის, ღირებულებების, საგანმანათლებლო/კვლევითი, საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული აქტივობების უზრუნველყოფას ინსტიტუციის საქმიანობის უწყვეტობის მიზნით. ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკის აღნიშნული მიზნის განხორციელება ქმნის უსდ როგორც უნივერსიტეტის

სტატუსის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულების როგორც მრავალფეროვანი, მრავაწახნაგოვანი საქმიანობის გააზრების შესაძლებლობებს იმ კონტექსტში, რომ ბიზნეს პროცესების პოლიტიკის განსაზღვრა გულისხმობს არა კონკრეტული, ინდივიდუალური შემთხვევების ზუსტ სცენარებს, არამედ ისეთი განჭვრეტადი და გათვლადი ნებისმიერ კრიზისულ ვითრებაში აუცილებელ მექანიზმებს, რაც ეფექტური აღმოჩნდენა ნებისმიერ სიტუაციაში.

ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკა ითვალისწინებს საჭირო შემთხვევაში შესაბამისი თანამშრომლების სწრაფად გამოძახების, შეკრების, ანალიზის და ოპერატიული მოქმედებების აუცილებლობას, რამაც უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტის უწყვეტად ფუნქციონირება.

ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკის გათვალისწინება სავალდებულოა ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის, როგორც სასწავლო-სამეცნიერო, ისე ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე დასაქმებული შესაბამისი პირებისათვის, რომლებმაც თავიანთი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას მხედველობაში უნდა მიიღონ ამ გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია ამ პოლიტიკისა და უწყვეტობის გეგმის შემუშავების, საჯაროდ ხელმისაწვდომობის, მისი იმპლემენტაციის მექანიზმები და შესაძლებლობები. შესაბამისად, დოკუმენტი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პოლიტიკის განხორციელება ასევე მოიცავს პოლიტიკისა და გეგმის შესახებ დამატებით გაცნობითი ხასიათის შეხვედრებსა და ტრენინგებს უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის.

2. დოკუმენტის სივრცეში მოქმედება

დოკუმენტი ვრცელდება ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში და უნივერსიტეტთან შესაბამის სახელშეკრულებო ვალდებულებებში მყოფ სუბიექტებზე.

3. ბიზნეს პროცესების უწყვეტობის მართვა

ბიზნეს უწყვეტობის სათანადოდ მართვისა და უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში შეიქმნა ბიზნეს უწყვეტობის მართვის საბჭო (BCMB) და კრიზის მენეჯმენტის ჯგუფი (CMT).

ბიზნეს უწყვეტობის მართვის საბჭო შეიმუშავებს ბიზნეს უწყვეტობის სტრატეგიულ მიზნებსა და მიმართულებებს, გაუწევს ზედამხედველობას კრიზის მენეჯმენტის ჯგუფს და მოახდენს საგანგებო სიტუაციების მართვას მასშტაბური ინცინდენტის დროს.

ბიზნეს უწყვეტობის მართვის საბჭოს წევრები წარმოდგენილია შემდეგი სამსახურებიდან:

- პირველი ვიცე-პრეზიდენტი - **ბიზნეს უწყვეტობის მართვის საბჭოს კოორდინატორი**
- ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში
- დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი

- სტრატეგიული განვითარების სამსახური
- საფინანსო სამსახური
- იურიდიული სამსახური
- მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური
- სამეურნეო სამსახური
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური

კრიზის მენეჯმენტის ჯგუფი განახორციელებს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შესრულებას კრიზისული (საგანგებო) სიტუაციების დროს.

კრიზის მენეჯმენტის ჯგუფი ანგარიშვალდებულია ბიზნეს უწყვეტობის მართვის საბჭოს კოორდინატორთან და მასშტაბური ინცინდენტის დროს ვალდებულია დაეკონტაქტოს მას. ჯგუფი დაკომპლექტებულია კრიზისული სიტუაციების მართვისთვის საჭირო კომპეტენციის მქონე სამსახურების თანამშრომლებით:

- დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი - **კრიზის მენეჯმენტის ჯგუფის კოორდინატორი**
- დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური
- პირველადი სამედიცინო დახმარების მედდა
- მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
- სამეურნეო სამსახური
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური
- სკოლების (ფაკულტეტების) სტუდენტური მენეჯერები

4. პასუხისმგებლობები

პირველი ვიცე პრეზიდენტი	• შეასრულებს უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის მართვის საბჭოს კოორდინატორის ფუნქციას • იქნება პასუხისმგებელი უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის მართვის სტრატეგიისა და გეგმის შესრულებაზე
ბიზნეს უწყვეტობის მართვის საბჭო	• შეიმუშავებს, განიხილავს და შეაფასებს უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის მართვის გეგმას • ამყარებს კომუნიკაციას სკოლებთან და სხვადასხვა სამსახურებთან როგორც სტრატეგიულ, ასევე ოპერაციულ დონეზე, რათა უზრუნველყონ უნივერსიტეტის თანამშრომლების ჩართულობა ბიზნეს უწყვეტობის გეგმის განხორციელების პროცესის ყველა ეტაპზე • მოახდენს საგანგებო სიტუაციების მართვას მასშტაბური ინცინდენტების დროს

	• მოახდენს ყოველწლიურ შეკრებას და განიხილავს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ცვლილების საჭიროებებს • წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს უნივერსიტეტის პრეზიდენტს
დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი	• შეასრულებს კრიზის მენეჯმენტის ჯგუფის კოორდინატორის ფუნქციას • მოახდენს უნივერისტეტის ყველა სამსახურის ინფორმირებას შესაძლო საფრთხის შესახებ
კრიზის მენეჯმენტის ჯგუფი	• უზრუნველყოფს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შესრულებას • მოახდენს რეაგირებას კონკრეტულ რისკებსა და ინცინდენტებზე, გამოავლენს ხარვეზებს • შეისწავლის თითოეული შემთხვევის წარმოშობის მიზეზებს • წარუდგენს ბიზნეს უწყვეტობის მართვის საბჭოს შესაბამის დასკვნებსა და წინადადებებს
დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	• უზრუნველყოფს წესრიგის დაცვასა და შენობის უსაფრთხოებას • უზრუნველყოფს სტუდენტებისა და თანამშრომლების ინფორმირებასა და კონტროლს პოტენციურ საფრთხეებზე • განახორციელებს შენობაში შემსვლელ და გამსვლელ პირთა კონტროლს • შეიმუშავებს უნივერსიტეტის საევაკუაციო გეგმას და საჭიროების შემთხვევაში მოახდენს უნივერსიტეტის ევაკუაციას • უზრუნველყოფს რადიოლოგიური, ქიმიური, ბიოლოგიური და ხანძარსაწინააღმდეგო საფრთხეების შინაარსსა და ადგილმდებარეობაზე ინფორმირებულობას • იურიდიულ სამსახურთან ერთად მოახდენს კომუნიკაციასა და კოორდინაციას ადგილობრივ სამართალდამცავ სტრუქტურებთან
პირველადი სამედიცინო დახმარების მედდა	• მოახდენს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის • მოახდენს შენობის დეზინფექციის ორგანიზებასა და კონტროლს
მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური	• შეიმუშავებს ეფექტურ საკომუნიკაციო გეგმას უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების, მედიის და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისათვის • უზრუნველყოფს ცრუ ინფორმაციის გავრცელების კონტროლს

	• უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს სტუდენტებისთვის საჭირო სერვისების გაწევას
საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური	• უზრუნველყოფს მონაცემთა, სატელეკომუნიკაციო და IT სისტემებისა და ქსელების გამართულ მუშაობას და პრობლემების შემთხვევაში მოახდენს შესაბამის რეაგირებას • უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხოების სათანადო კონტროლს • მოახდენს ოპერაციების სარეზერვო ფაილების ორგანიზებას • საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სამუშაო და სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლისთვის მზადყოფნას
სამეურნეო სამსახური	• უზრუნველყოფს კომუნალური მომსახურების მიწოდებას და საჭიროების შემთხვევაში მათ გათიშვას • მოახდენს შენობის მდგრადობის პერიოდულ შემოწმებას და უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების განსაზღვრას • განახორციელებს დაზიანებული ავეჯის და სხვა სასწავლო/საოფისე ინვენტარის შეკეთება/შესყიდვას • საჭიროების შემთხვევაში უზურნველყოფს ალტერნატიული სასწავლო და საოფისე ფართის მოძიებას • საჭიროების შემთხვევაში უზურნველყოფს ძირითადი პერსონალის ტრანსპორტირებას • განახორციელებს საქონლისა და მომსახურების შესყიდვას
საფინანსო სამსახური	• ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად უზურნველყოფს ხელფასების დროულ გაცემას • განახორციელებს საგანგებო დანახარჯების მართვას • საქმისწარმოების სამსახურთან ერთად მოახდენს სადაზღვევო კომპანიებთან კომუნიკაციას • იურიდიულ სამსახურთან ერთად უზურნველყოფს ფინანსური და ადმინისტრაციული დოკუმენტაციის მომზადება/ შენახვას
სკოლების დეკანები	• განახორციელებენ ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკის გაცნობას ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში • თავინთი კომპეტენციის ფარგლებში უზურნველყოფენ ბიზნეს უწყვეტობის გეგმის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში
სხვა სამსახურების და განყოფილებების უფროსები	• უზურნველყოფენ თავიანთი მიმართულებით ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკის დანერგვასა და შესრულებას

	• უზრუნველყოფენ ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შესრულების და მონიტორინგის პროცესში სათანადო ჩართულობას
უნივერსიტეტის თანამშრომლები	• ბიზნეს უწყევტობის გეგმის შემუშავების პროცესში უზურნველყოფენ თავიანთი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას • გაეცნობიან ბიზნეს უწყვეტობის გეგმასა და პროცედურებს • საჭიროების შემთხვევაში იმოქმედებენ ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შესაბამისად

5. რისკების შეფასება

ბიზნეს უწყვეტობის მართვის საბჭომ მოახდინა რისკების იდენტიფიცირება, გაანალიზება, ალბათობის განსაზღვრა და უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესებზე მათი ზეგავლენის ხარისხის შეფასება. შესაბამისად, შემუშვებულ იქნა შემდეგი რისკის დონეები:

რისკის დონე	**რისკის კატეგორია**	**აღწერა და საჭირო ღონისძიებები**
I	**არაარსებითი**	უმნიშვნელო ინციდენტი, რომელიც განიხილება, როგორც მცირე გავლენის მქონე ლოკალური შემთხვევა, რომელიც გავლენას არ ახდენს უნივერსიტეტის ფუნქციონირებაზე. არ საჭიროებს კონკრეტული პროცედურების განხორციელებას, საჭიროა სამუშაოს შესრულების მონიტორინგი.
II	**არსებითი**	სერიოზული შემთხვევა, რომელიც აფერხებს უნივერსიტეტის ერთ ან მეტ პროცესს. საჭიროა შემუშავდეს რისკის შემცირების პროცედურები, შეფასდეს პრიორიტეტები და დაიგეგმოს რისკის შემცირების საკონტროლო ღონისძიებები.
III	**კრიტიკული**	კრიტიკული ინციდენტი, რომელიც სრულად აფერხებს ან აჩერებს უნივერსიტეტის მუშაობას. საჭიროა შეჩერდეს სამუშაო/სასწავლო პროცესი, დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული ზომები რისკის შესამცირებლად.

6. კრიტიკული ბიზნეს პროცესების განსაზღვრა

ბიზნეს უწყვეტობის მართვის საბჭოს მიერ იქნა განსაზღვრული ყველა ის ბიზნეს პროცესი და აქტივობა, რომელიც კრიტიკულია უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული პროცესების შეფერხება/შეწყვეტამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს უნივერსიტეტს

ფინანსური და იურიდიული კუთხით, ან გავლენა მოახდინოს სტუდენტების და თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. აღნიშნული ბიზნეს პროცესები უნდა განახლდეს დროულად, სასურველია შეფერხებიდან არაუგვიანეს 6 საათში.

კრიტიკული ბიზნეს პროცესების ცხრილი:

უნივერსიტეტის სამსახურები	კრიტიკული აქტივობები / პროცესები
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	• ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მართვის პროცესი
საქმისწარმოების სამსახური	• შიდა საუნივერსიტეტო საქმისწარმოება
იურიდიული სამსახური	• უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების / შეთანხმებების / მემორანდუმების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა • საჯარო / კერძო ორგანიზაციებისა და პირების წინაშე სამართლებრივი დავის არსებობისას უნივერსიტეტის წარმომადგენლობის განხორციელება
საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური	• IT მხარდაჭერა • IT ტექნიკის შესყიდვა და მარაგების მართვა
საფინანსო სამსახური	• უნივერსიტეტის საბუღალტრო და ფინანსური ოპერაციების უზრუველყოფა მოქმედ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში • უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და ანგარიშგებების მომზადება • საგადასახადო და ფინანსურ მაკონტროლებელ ორგანოებთან კოორდინაცია
სამეურნეო სამსახური	• საოფისე ავეჯისა და ინვენტარის შესყიდვა და მარაგების მართვა • სარემონტო სამუშაოების ორგანიზება • შრომის უსაფრთხოების, 112-ისა და სხვა საგანგებო სიტუაციების მარეგულირებელ ორგანოებთან კოორდინაცია • აკრედიტაცია/ავტორიზაციის მოთხოვნების უზრუნველყოფის მხარდაჭერა
დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	• ვიზიტორების უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაშვების კონტროლი • ვიდეო ჩანაწერების მართვა • უნივერსიტეტის შიდა და გარე ტერიტორიის მონიტორინგი • სხვადასხვა საგანგებო ინცინდენტებზე რეაგირება
ბიბლიოთეკა	• ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი და ელექტრონული რესურსების მართვა
სტრატეგიული განვითარების სამსახური	• უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების და განხორციელების კოორდინაცა

	• მოთხოვნის საფუძველზე მონაცემების, ანგარიშების, წინადადებების და სხვა მასალის მომზადება და საჭიროების შემთხვევაში, მათი ანალიზი
მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური	• ღონისძიებების გამართვა-ადმინისტრირება (ღია კარის დღეების, გრედუეიშენის, რეგისტრაციის დღეების და სხვა) • PR კომუნიკაცია • მედიასთან ურთიერთობის და მართვის პროცესი • სტუდენტების დასაქმების მხარდაჭერა
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური	• უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ადმინისტრირება • გაცვლითი პროგრამების მართვის პროცესი • ქართველი და უცხოელი სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო კომპონენტთან დაკავშირებით
კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური	• გრანტების და კვლევითი პროექტებისთვის დაფინანსების მოძიების, აპლიკაციის შეტანის და ადმინისტრირების პროცესი • სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობა
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• თვითშეფასების, ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის კოორდინაციის პროცესი
უწყვეტი განათლებისა და სერტიფიცირების ცენტრი	• სასერტიფიკატო კურსების მართვის პროცესი
აკადემიური პროცესის მართვის სამსახური	• ცხრილების შედგენის და მართვის პროცესი • სტუდენტების ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეწყვეტა-შეჩერების ადმინისტრირების პროცესი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) • სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცესი • აკადემიური პორტალის ადმინისტრირებისა და მომხმარებელთა მხარდაჭერის პროცესი
საგამოცდო ცენტრი	• წერითი გამოცდების მართვისა და ადმინისტრირების პროცესი
სტუდენტური ომბუდსმენი	• სტუდენტთა ადვოკატირების პროცესი
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	• აკონტროლებს უნივერსიტეტში პერონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესს • საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს მონაცემთა დამუშავების რისკების შეფასების პროცესში • საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან • უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინფრმირებასა და გადამზადებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით • განიხილავს მონაცემთა სუბიექტის განცხადებებს, საჩივრებს ან/და მომართვებს

	• პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე კონსულტაციას უწევს სტუდენტებს, ლექტორებსა და უნივერსიტეტში დასაქმებულ პირებს • ავლენს, შეისწავლის და სათანადო რეაგირებას ახდენს პერსონალურ მონაცემთა დარღვევის ფაქტებზე
სკოლები	• სწავლა / სწავლების / კვლევის პროცესი

7. საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა

რისკის დასახელება	რისკის დონე	მოსალოდნელი შედეგები	პრევენცია / რისკ მენეჯმენტი	კრიზის მენეჯმენტი	ბიზნეს უწყვეტობის შენარჩუნება	ბიზნეს პროცესის აღდგენა
პანდემია / სხვა ინფექციური დაავადებები	III	- დიდი რაოდენობით სტუდენტის და თანამშრომლის დაინფიცირება - უნივერსიტეტის მუშაობის შეფერხება	- სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის ინფორმაციის მიწოდება პრევენციის ზომებზე - უნივერსიტეტის დეზინფექციის გაძლიერება - უნივერსიტეტში შემომსვლელთა თერმოსკრინინგი - და სხვა (იხილეთ ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა)	CMT მზადაა დროული რეაგირებისთვის BCMB ინფორმირებულია და აქტიურადაა ჩართული პრობლემის მოგვარების პროცესში - სტუდენტებისთვის/პერსონალისთვის ინფორმაციის მიწოდება კონკრეტულ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით - პერსონალის დაინფიცირების შემთხვევაში პასუხისმგებელი პირის ინფორმირება - კონტაქტების გამოვლენა და იზოლირება - ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელება ჩართულია: - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური - პირველადი სამედიცინო დახმარების მედდა - ადამიანური რესურსების მართვის სამსახური - მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური	- სამუშაო და სასწავლო პროცესის დისტანციურზე გადატანა (სრულად ან ნაწილობრივ) - ადმინისტრაციული პერსონალის კომპიუტერული ტექნიკით, ტრანსპორტირებით, საკომუნიკაციო და სხვა რესურსით უზრუნველყოფა ონლაინ სამუშაო რეჟიმზე გადასასვლელად - აკადემიური პერსონალისთვის ონლაინ ტრენინგების ჩატარება დისტანციური სწავლების ტექნიკური დეტალების გასაცნობად - გაიდლაინების და ონლაინ ტუტორიალების მომზადება სტუდენტებისთვის/ ლექტორებისთვის ონლაინ სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებით - ონლაინ ჯგუფების შექმნა და ცხრილების გაწერა - საგამოცდო ცენტრის მიერ ონლაინ გამოცდების ორგანიზება	- ონლაინ სწავლებაზე გადასვლისთვის განსახორციელებელი აქტივობებისთვის საჭირო დროა 2-3 დღე - ბიზნეს პროცესის სრული აღდგენა დამოკიდებულია პანდემიის/სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების ხარისხსა და საკარანტინო მდგომარეობის სახელმწიფო რეგულაციაზე
კლიმატური პირობების გაუარესება და მისგან გამოწვეული შემთხვევები (მაგ. თუ ძლიერი ქარი ან თოვლი და ა.შ. 24 საათზე მეტხანს გაგრძელდა)	II	- შესაძლო დაზიანებები (მაგ. ხეების მოგლეჯა, ელ. სადენების დაზიანება, სხვა) -კომუნალური სერვისების მიწოდების შეფერხება - გადაადგილებასთან/ მგზავრობასთან დაკავშრებული პრობლემები	- ყოველი სამუშაო დღის ბოლოს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის მიერ შენობის მონიტორინგი ამინდის გაუარესების შემთხვევაში რისკების მინიმიზაციისთვის	CMT მზადაა დროული რეაგირებისთვის BCMB ინფორმირებულია - ლექციების შესაძლო შეჩერება და ცხრილებში ცვლილებების შეტანა ჩართულია: - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური - პირველადი სამედიცინო დახმარების მედდა - სკოლების ადმინისტრაცია	- დაზიანებული ინფრასტრუქტურის შეკეთება/გამოცვლა - შესაბამისი სამსახურის მიერ გარე ტერიტორიის გასუფთავება - ამინდის გაუარესების გაგრძელების შემთხვევაში სასწავლო და სამუშაო პროცესის ონლაინ გაგრძელება	- ონლაინ სწავლებაზე გადასვლისთვის განსახორციელებელი აქტივობებისთვის საჭირო დროა 2-3 დღე - ამინდის გამოსწორების შემთხვევაში ბიზნეს პროცესი სრულად აღდგება 1-2 დღეში

		- უნივერსიტეტის მუშაობის შესაძლო შეფერხება		- სამეურნეო სამსახური - მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური		
ხანძარი	II	- სტუდენტების და თანამშრომლების შესაძლო დაზიანება - უნივერსიტეტის ფუნქციონირების შეწყვეტა	- უნივერსიტეტის მოწყობა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეგულაციების შესაბამისად - უნივერსიტეტში სახანძრო ჰიდრანტების, ცეცხლმაქრების არსებობა - უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის სახანძრო უსაფრთოების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარება	CMT მზადაა დროული რეაგირებისთვის BCMB ინფორმირებულია - მცირე ხანძრის შემთხვევაში ცეცხლმაქრით ან სახანძრო ჰიდრანტებით ხანძრის ლოკალიზება/ჩაქრობა - დიდი ხანძრის შემთვევაში 112-ში დარეკვა და სახანძროს გამოძახება - ხალხის ევაკუაცია და შენობის დაკეტვა - იხილეთ GAU-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და სახანძრო უსაფრთოების შესახებ ინსტრუქტაჟის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ჩატარდება ყველა მოქმედება ჩართულია: - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური - პირველადი სამედიცინო დახმარების მედდა - სამეურნეო სამსახური - მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური	- ხდება შენობის და ინვენტარის დაზიანების შეფასება და შეკეთება - სერიოზული ზიანის შემთვევაში სასწავლო და სამუშაო პროცესის ონლაინ გაგრძელება ან ალტერნატიული ფართის მოძიება	- ბიზნეს პროცესის სრული აღდგენა დამოკიდებულია დაზიანების ხარისხზე. მცირე და ლოკალური დაზიანების შემთხვევაში სასწავლო/სამუშაო პროცესი აღდგება 1 დღეში - სერიოზული ზიანის შემთხვევაში ბიზნეს პროცესი აღდგება 1-3 თვეში
ტერორისტის თავდასხმა / მძევლების აყვანა	III	- შესაძლო პანიკა - ფსიქოლოგიური ტრავმის მიღების რისკი - სტუდენტების და თანამშრომლების შესაძლო ფიზიკური დაზიანებები (მათ შორის სიცოცხლისთვის საშიში) - სახელმწიფო სტრუქტურის მიერ სიტუაციის მართვა და უნივერისტეტის ტერიტორიაზე გადაადგილების შეზღუდვა - უნივერსიტეტის ფუნქციონირების დროებით შეწყვეტა	- ვიზიტორების უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაშვების კონტროლის გამკაცრება - ვიდეო ჩანაწერების შენახვისა და კონტროლის გამკაცრება - უნივერსიტეტის შიდა და გარე ტერიტორიის მონიტორინგი	CMT მზადაა დროული რეაგირებისთვის BCMB ინფორმირებულია და აქტიურადაა ჩართული პრობლემის მოგვარების პროცესში - 112-ში დარეკვა და პოლიციის გამოძახება - პერიმეტრის შემოსაზღვრა და ჩაკეტვა - სასწავლო / სამუშო პროცესის შეჩერება ჩართულია: - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური - პირველადი სამედიცინო დახმარების მედდა - მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური	- ზიანის დონის შეფასება და ყოველ კონკრეტულ შემთვევაში ადეკვატური რეაგირება სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით	ბიზნეს პროცესის სრული აღდგენა დამოკიდებულია დაზიანების ხარისხზე.

ბომბის აფეთქება, ქიმიური, რადიაციული ან ბიოლოგიური ნივთიერებების გავრცელება (შენობის შიგნით)	III	- შესაძლო პანიკა - ფსიქოლოგიური ტრავმის მიღების რისკი - დამატებითი აფეთქების / მავნე ნივთიერებების გავრცელების რისკი - სტუდენტების და თანამშრომლების შესაძლო ფიზიკური დაზიანებები (მათ შორის სიცოცხლისთვის საშიში) - გარემოს შესაძლო დაბინძურება - სახელმწიფო სტრუქტურის მიერ სიტუაციის მართვა და უნივერსიტეტის რესურსების განკარგვა - უნივერსიტეტის ფუნქციონირების დროებით შეწყვეტა	- ვიზიტორების უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაშვების კონტროლის გამკაცრება - ვიდეო ჩანაწერების შენახვისა და კონტროლის გამკაცრება - უნივერსიტეტის შიდა და გარე ტერიტორიის მონიტორინგი	CMT მზადაა დროული რეაგირებისთვის BCMB ინფორმირებულია და აქტიურადაა ჩართული პრობლემის მოგვარების პროცესში - 112-ში დარეკვა და პოლიციის გამოძახება - შენობის სასწრაფო ევაკუაცია - პერიმეტრის შემოსაზღვრა და ჩაკეტვა - სასწავლო / სამუშო პროცესის შეჩერება ჩართულია: - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური - პირველადი სამედიცინო დახმარების გეგმა - მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური	- ზიანის დონის შეფასება და ყოველ კონკრეტულ შემთვევაში ადეკვატური რეაგირება სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით - სერიოზული ზიანის შემთვევაში სასწავლო და სამუშაო პროცესის ონლაინ გაგრძელება ან ალტერნატიული ფართის მოძიება	- ონლაინ სწავლებაზე გადასვლისთვის განსახორციელებელი აქტივობებისთვის საჭირო დროა 2-3 დღე - ბიზნეს პროცესის სრული აღდგენა დამოკიდებულია დაზიანების ხარისხზე.
სტუდენტური პროტესტი	II	- უნივერსიტეტის პროცესების ნაწილობრივ შეფერხება - სიტუაციის შესაძლო გამწვავება	- ადმინისტრაციასთან, დეკანატთან და მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახურთან აქტიური კომუნიკაცია - სტუდენტური ომბუდსმენის სერვისი	CMT მზადაა დროული რეაგირებისთვის BCMB ინფორმირებულია და საჭიროების შემთვევაში ჩაერთვება პრობლემის მოგვარების პროცესში - სიტუაციის მონიტორინგი ჩართულია: - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური - სტუდენტური ომბუდსმენი - სკოლების ადმინისტრაცია - მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური	- სტუდენტური პროტესტის მიზეზის დადგენა - მოლაპარაკებების წარმოება - პრობლემის მოგვარება ან სხვა სახის რეაგირება პროსტესტის მშვიდობიანად დასასრულებლად	- ბიზნეს პროცესის სრული აღდგენა დამოკიდებულია სტუდენტური პროტესტის ხანგრძლივობაზე

ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემა	I	- შესაძლო შეფრეხებები, მაგ. ლიფტის გაჭედვა, შუქების ჩაქრობა (კრიტიკულია საღამოს საათებში), ინტერნეტის გათიშვა, კონდიცირების გათიშვა (ზაფხულის სეზონზე), სხვა.	- გენერატორი - UPS-ები (მუშაობის პროცესში თანამშრომლების და სტუდენტების მონაცემთა დასაცავად) - ელ. გაყვანილობების მონიტორინგი წელიწადში ერთხელ	CMT მზადაა დროული რეაგირებისთვის BCMB ინფორმირებულია თუ დიდი ხნით (>4 სთ) მოხდა ელექტროენერგიის გათიშვა - გენერატორის ავტომატური ჩართვა (მოცდენა 1 წუთი) - ელ. ენერგიის მომწოდებელთან დაკონტაქტება ჩართულია: - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური - სამეურნეო სამსახური	- პრობლემის იდენტიფიცირება (შიდა ან გარე) და შესაბამისი რეაგირება	- ბიზნეს პროცესი სრულად აღდგება 1-3 სამუშაო დღეში
ბუნებრივი აირის მიწოდების პრობლემა	I	- სეზონური რისკი, კრიტიკული ნოემბერი-მარტის შუალედში (5 თვე) - ცენტრალური გათბობის შესაძლო გათიშვა - სასწავლო / სამუშაო პროცესის შესაძლო შეჩერება კრიტიკულ პერიოდში (5 თვე)	- კონდიციონერები, რომლებიც შესაძლებელს ხდის დროებით ჩაანაცვლოს ცენტრალური გათბობა - გათბობის სისტემის სეზონური პროფილაქტიკური სამუშაოები	CMT მზადაა დროული რეაგირებისთვის BCMB ინფორმირებულია თუ დიდი ხნით (>4 სთ) მოხდა გაზმომარაგების შეწყვეტა - გაზმომარაგების წარმომადგენელთან დაკონტაქტება - სასწავლო / სამუშაო პროცესის შესაძლო შეფერხება კრიტიკულ პერიოდში (5 თვე) ჩართულია: - სამეურნეო სამსახური	- პრობლემის იდენტიფიცირება (შიდა ან გარე) და შესაბამისი რეაგირება	- ბიზნეს პროცესი სრულად აღდგება 3-5 სამუშაო დღეში
წყლის მიწოდების პრობლემა	I	- 2 დღემდე წყლის მიწოდების პრობლემის შემთხვევაში უნივერსიტეტის ძირითადი პროცესების უწყვეტად გაგრძელება	- სარეზერვო ავზიში (5 ტონა ტექნიკური წყალი), საკმარისი საშუალოდ 2 დღე - სასმელი წყლის მარაგი - სისტემის პერიოდული მონიტორინგი	CMT მზადაა დროული რეაგირებისთვის BCMB ინფორმირებულია თუ დიდი ხნით (>4 სთ) მოხდა წყალმომარაგების შეწყვეტა - წყალმომარაგების წარმომადგენელთან დაკონტაქტება - ტექნიკური მიზნებისთვის სისტემის სარეზერვო ავზზე გადართვა (მოცდენა 30 წთ) - ჩართულია: - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური - სამეურნეო სამსახური	- პრობლემის იდენტიფიცირება (შიდა ან გარე) და შესაბამისი რეაგირება - სარეზერვო ავზის ავსების საჭიროება 2 დღეში და შესაბამისად, ფინანსური ხარჯის ზრდა	- ბიზნეს პროცესი სრულად აღდგება 2-5 სამუშაო დღეში

კანალიზაციის პრობლემა	I	- მოკლევადიანი პრობლემის შემთხვევაში უნივერსიტეტის ძირითადი პროცესები უწყვეტად გაგრძელება	- პროფილაქტიკური სამუშაოები წელიწადში 2-ჯერ	CMT მზადაა დროული რეაგირებისთვის BCMB ინფორმირებულია თუ დიდი ხნით (>4 სთ) მოხდა შეფერხება - შესაბამის სამსახურებთან დაკონტაქტება - უნივერსიტეტის საპირფარეშოების ნაწილის დროებით დაკეტვა ჩართულია: - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური - სამეურნეო სამსახური	- პრობლემის იდენტიფიცირება (შიდა ან გარე) და შესაბამისი სამსახურის მიერ სისტემის გაწმენდა	- ბიზნეს პროცესი სრულად აღდგება 1 სამუშაო დღეში
შენობა-ნაგებობის დაზიანება	II	- კონკრეული სასწავლო / სამუშაო პროცესის მცირე შეფერხება	- პერიოდული მონიტორინგი და სარემონტო სამუშაოები	CMT შეიძლება მოხდეს დაკონტაქტება BCMB ინფორმირებულია სერიოზული პრობლემის შემთხვევაში - დაზიანებული ადგილის დროებით დაკეტვა - კონკრეტული სასწავლო / სამუშაო პროცესის მცირე შეფერხება ჩართულია: - სამეურნეო სამსახური	- დაზიანების შეფასება და სარემონტო სამუშაოების ჩატარება	- ბიზნეს პროცესის სრული აღდგენა დამოკიდებულია დაზიანების ხარისხზე, ლოკალური დაზიანების შემთვევაში დასჭირდება 1-2 სამუშაო დღე
სასწავლო-ლაბორატორიული და ადმინისტრაციული აღჭურვილობის დაზიანება / განადგურება	I	- კონკრეული სასწავლო / სამუშაო პროცესის მცირე შეფერხება	- პერიოდული მონიტორინგი და სარემონტო სამუშაოები	CMT შეიძლება მოხდეს დაკონტაქტება BCMB ინფორმირებულია სერიოზული პრობლემის შემთხვევაში - დაზიანებული ადგილის დროებით დაკეტვა - კონკრეტული სასწავლო / სამუშაო პროცესის მცირე შეფერხება ჩართულია: - სამეურნეო სამსახური	- დაზიანების შეფასება, შეკეთება ან ახლით ჩანაცვლება	- ბიზნეს პროცესი სრულად აღდგება 1-2 სამუშაო დღეში
საარქივო მასალის და სხვადასხვა დოკუმენტაციის განადგურება	I	- საგადასახადოს/აუდიტის შემოწმების პროცესის შესაძლო შეფერხება - საქმისწარმოების პროცესის შეფერხება	- ელექტრონული ასლების არსებობა - საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის სპეციალურად განკუთვნილ დაცულ სივრცეებში შენახვა	CMT შეიძლება მოხდეს დაკონტაქტება BCMB ინფორმირებულია სერიოზული პრობლემის შემთხვევაში - კონკრეტული სასწავლო / სამუშაო პროცესის მცირე შეფერხება ჩართულია:	- განადგურებული დოკუმენტაციის აღწერა და პრიორიტეტების განსაზღვრა ეტაპობრივი აღდგენისთვის - ელექტრონული ასლების მეშვეობით დოკუმენტაციის აღდგენა შესაბამისი სამსახურის მიერ	- ბიზნეს პროცესის სრული აღდგენა დამოკიდებულია დაზიანების ხარისხზე, საშუალოდ დასჭირდება 1-30 სამუშაო დღე

		- სტუდენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, მომწოდებლებთან და პარტნიორებთან კონტრაქტების და მემორანდუმების არ არსებობა განახლებამდე		- საქმისწარმოების სამსახური - საფინანსო სამსახური - იურიდიული სამსახური	- კონტრაქტების და მემორანდუმების ხელახლა გაფორმება	
ინტერნეტის პრობლემა	I	- სასწავლო / სამუშაო პროცესის მცირე შეფერხება - ხანგრძლივი გათიშვის შემთხვევაში სასწავლო / სამუშაო პროცესის შეჩერება	- ალტერნატიული ხაზის არსებობა	CMT შეიძლება მოხდეს დაკონტაქტება BCMB ინფორმირებულია სერიოზული პრობლემის შემთხვევაში - ინტერნეტ პროვაიდერთან დაკონტაქტება - სარეზერვო ხაზზე გადართვა (მოცდენა 15 წუთი) - IT დახმარების გაწევა ხარვეზის აღმოსაფხვრელად ჩართულია: - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური	- პრობლემის იდენტიფიცირება (შიდა ან გარე) და შესაბამისი რეაგირება	- ბიზნეს პროცესი სრულად აღდგება 1 სამუშაო დღეში
პროგრამული უზრუნველყოფის პრობლემა	I	- კონკრეული სასწავლო / სამუშაო პროცესის მცირე შეფერხება	- ოფიციალური პარტნიორები Microsoft-ის, Google-ის და სხვა არსებობა, რაც პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ რისკებს ამცირებს - Firewall-ის, ანტივირუსული აპლიკაციების, LAN შეზღუდვის არსებობა - ასლების პერიოდული შენახვა	CMT შეიძლება მოხდეს დაკონტაქტება BCMB ინფორმირებულია სერიოზული პრობლემის შემთხვევაში - IT დახმარების გაწევა ხარვეზის აღმოსაფხვრელად - საჭიროების შემთხვევაში ოფიციალურ მომწოდებლებთან დაკონტაქტება ჩართულია: - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური	- პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება	- ბიზნეს პროცესი სრულად აღდგება 1-3 სთში
ტექნიკის პრობლემა	I	- კონკრეული სასწავლო / სამუშაო პროცესის მცირე შეფერხება - უნივერსიტეტის ძირითადი პროცესების უწყვეტად გაგრძელება თუ დიდი რაოდენობით ტექნიკის დაზიანებასთან არ გვაქვს საქმე	- ტექნიკის პერიოდული შემოწმება, დროდადრო მოძველებული ტექნიკის ახლით ჩანაცვლება - სარეზერვო კომპიუტერული მარაგი	CMT შეიძლება მოხდეს დაკონტაქტება BCMB ინფორმირებულია სერიოზული პრობლემის შემთხვევაში - IT დახმარების გაწევა ხარვეზის აღმოსაფხვრელად - საჭიროების შემთხვევაში დაზიანებული ტექნიკის ჩანაცვლება ჩართულია: - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური	- პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება (დაზიანებულის შეკეთება/ გამოცვლა / შეძენა)	- ბიზნეს პროცესი სრულად აღდგება 30 წუთი-1 დღეში

კიბერდანაშაული	II	- მონაცემების დაკარგვის საშიშროება - სასწავლო/სამუშაო პროცესის შესაძლო შეფერხება	- მნიშვნელოვანი ინფორმაციის გარე დაცულ სერვერებზე შენახვა - პერიოდულად ინფორმაციის სარეზერვო ასლების შექმნა და შენახვა (კვირაში ერთხელ)	CMT შეიძლება მოხდეს დაკონტაქტება BCMB ინფორმირებულია და საჭიროების შემთვევაში ჩაერთვება პრობლემის მოგვარების პროცესში - სამართალდამცავი სტრუქტურების დროული ინფორმირება - IT დახმარების გაწევა შესაძლებლობის ფარგლებში ჩართულია: - იურიდიული სამსახური - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური	- პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება	- ბიზნეს პროცესი სრულად აღდგება 2-3 დღეში
პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტში ჩამოთვლილი რისკების რეალიზაცია, რომლებიც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის რისკს ატარებენ	II	- მონაცემთა სუბიექტების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვა - ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევა - უნივერსიტეტის რეპუტაციული და სამართლებრივი რისკი	- ზეგავლენის რეგულარული შეფასება და მონიტორინგი (DPIA) - მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის დაცვა - მონაცემთა უსაფრთხოების, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების გაძლიერება - პერსონალის გადამზადება მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე	CMT შეიძლება მოხდეს დაკონტაქტება BCMB ინფორმირებულია და საჭიროების შემთვევაში ჩაერთვება პრობლემის მოგვარების პროცესში - ინციდენტის იდენტიფიკაცია და სწრაფი რეაგირება (მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრისთვის ან/და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინება აღნიშნულის თაობაზე) - ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის გადახედვა და გადამზადების პროცესი - რეგულარული ინფორმირება საჭიროების შემთხვევაში - ინციდენტის მართვის პოლიტიკის შემუშავება და რეაგირების გეგმის ჩამოყალიბება - სამართალდამცავი სტრუქტურების დროული ინფორმირება - IT დახმარების გაწევა შესაძლებლობის ფარგლებში ჩართულია: - იურიდიული სამსახური -საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	- ზიანის დონის შეფასება და ყოველ კონკრეტულ შემთვევაში ადეკვატური რეაგირება სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით - სუბიექტთა ინფორმირება, თუ კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს	- ბიზნეს პროცესის სრული აღდგენა დამოკიდებულია ზიანის ხარისხზე

შემოსავლების ნაკლებობა	II	- სასესხო თანხის გადახდისუუნარობა - ხელფასების და სხვა საოპერაციო ხარჯების გადახდის უუნარობა	- ვალუტის დივერსიფიცირება გავცლითი კურსის ცვალებადობისგან თავდასაცავად - ფინანსური რეზერვები - სასწავლო წლის ბიუჯეტის განსაზღვრა აკადემიური წლის დასაწყისში	CMT არ საჭიროებს დაკონტაქტებას BCMB ინფორმირებულია და ჩართულია პრობლემის მოგვარების პროცესში - დანაკლისის ოდენობის განსაზღვრა - კაპიტალის გაზრდა - სესხის აღება ჩართულია: - ფინანსური სამსახური - იურიდიული სამსახური	-ინვესტიციების მოზიდვა - ახალი საგრანტო და კვლევითი პროექტების შემუშავება და აპლიკაციების შეტანა - ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და დამატება - ახალი სასერტიფიკატო კურსების შემუშავება და დამატება - გააქტიურება საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის მიმართულებით	- შემოსავლების დანაკლისის შევსებას მოკლე ვადაში დასჭირდება 7-10 სამუშაო დღე - ფინანსების ზრდას გრძელ ვადაში დასჭირდება 1 წელზე მეტი
საჯარო ტრანსპორტის დეფიციტი	II	- სამუშაო/სასწავლო პროცესის შესაძლო შეფერხება	- თანამშრომლების უმეტესობას ყავს მანქანა - GAU-ს ემსახურება სამარშუტო ტაქსი	CMT მზადაა დროული რეაგირებისთვის BCMB ინფორმირებულია - დიდხნიანი შეფერხების შემთხვევაში დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის ორგანიზება და სტუდენტების და თანამშრომლების ინფორმირება - საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა ჩართულია: - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური - მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური	- სამუშაო და სასწავლო პროცესის დისტანციურზე გადატანა (სრულად ან ნაწილობრივ) - ადმინისტრაციული პერსონალის კომპიუტერული ტექნიკით, ტრანპორტირებით, საკომუნიკაციო და სხვა რესურსით უზრუნველყოფა ონლაინ სამუშაო რეჟიმზე გადასასვლელად - ონლაინ ჯგუფების შექმნა და ცხრილების გაწერა სტუდენტებისთვის/ ლექტორებისთვის	- ონლაინ სწავლებაზე გადასვლისთვის განსახორციელებელი აქტივობებისთვის საჭირო დროა 2-3 დღე - ბიზნეს პროცესის სრული აღდგენა დამოკიდებულია საჯარო ტრანსპორტის პრობლემის მოგვარებაზე, რომელსაც განსაზღვრავს სახელმწიფო
მსხვილი მომწოდებლების კოლაფსი	I	- უნივერსიტეტის შესყიდვების შესაძლო შეფერხება - უნივერსიტეტის სერვისზე შესაძლო ზეგავლენა	- მარაგები - მომწოდებელთა დივერსიფიცირება	CMT არ საჭიროებს დაკონტაქტებას BCMB ინფორმირებულია - ბაზარის მოკვლევა - სიტუაციის მონიტორინგი ჩართულია: - საფინანსო სამსახური - სამეურნეო სამსახური	- ალტერნატიული პროვაიდერების/ მომწოდებლების მოძებნა	- ბიზნეს პროცესი სრულად აღდგება 1-2 სამუშაო დღეში

ქვეყანაში / ქალაქში მომხდარი სოციო-პოლიტიკური ან სხვა ტიპის მოვლენა	II	- უნივერსიტეტის აქტივობებზე შესაძლო გავლენა - უნივერსიტეტის ფუნქციონირების შესაძლო შეჩერება	- ინფორმაციის დროული მიწოდება მოვლენების შესაძლო განვითარებაზე - სტუდენტებთან და თანამშრომლებთან კომუნიკაცია უსაფრთხოების უზრუველსაყოფად	CMT შეიძლება მოხდეს დაკონტაქტება BCMB ინფორმირებულია - სიტუაციის მონიტორინგი ჩართულია: - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური - მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური	- პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება	- ბიზნეს პროცესის სრული აღდგენა დამოკიდებულია ქვეყანაში / ქალაქში მომხდარ მოვლენაზე